

შეხვედრა



IX წ. საყოველთაო კვირამ გაზეთი. IX წ.


№ 35. კვირა, 26 აგვისტო 1901 წელსა. № 35.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შური.
 სელის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თბატრის ქ., № 12.
 ტელეფონი № 734.
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВА.ЛИ“.

შინაარსი: რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები, ი. გომართელისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — შინაური მიმოხილვა. — სიონისტების კრება თფილისში. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარგარეთ. — სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი. — წითელი ვასილი, მოხროსა მ. გორისა. — მცირე შენიშვნა ენის შესახებ, ნ. ახმეტელაშვილისა. — ზოგიერთი ცნობები სწავლა-განათლების შესახებ კავკასიაში. — ურნალ-გაზეთებიდან. — წერილები რედაქციის მიმართ. — განცხადებანი.

რუსული ლოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში. (დასასრ. — იხ. № 34).

როგორც მკითხველი დაინახავდა წინა წერილებიდან, რელიზში, ცხოვრებით უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილებაზე აგებული ღრმა სევდა რუსეთის სიტყვაკაზმული მწერლობის ძირითად თვისებას შეადგენს მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. ეს სევდა ძლიერი იყო მეოცდაათე წლებში; მეორმოცე წლებში მისი ამონაკენესი სუსტათ მოისმის რუსულ მწერლობაში, მაგრამ ის კი არ მოსპობილა: მოწინავე თაობა მედგრათ შეებრძოლა ბატონყმობის უღელს და ერთი მხრით ამ ბრძოლამ, მეორე მხრით ბატონყმობის გადავარდნის იმედით გამოწვეულმა უკეთესი მომავლის მოლოდინმა სევდა ბატარა ხანს დააიწყებია რუსეთის ბელეტრისტებსა და პოეტებს. ბატონყმობის გადავარდნის შემდგვე სევდა ისევ იღვიძებს და ისე ძლიერდება და მწვავედება, რომ საუკეთესო ახალგაზდანი არაყში ეძებენ თავდაიწყებას, ან მისტიციზმისა და სარწმუნოების მფარველობის ქვეშ ეძებენ გამამხნეველ ნუგეშს. მაგრამ მეოცდაათე წლების სევდასა და მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლებისა და დღევანდელ სევდას შუა დიდი განსხვავებაა. პირველი იყო განსაკუთრებით ფილოსოფიური და სუბიექტიური, მეორე კი საზოგადოებრივი და ობიექტიურია. მაგ., ლერმონტოვის პესიმიზმის მიზეზი უმთავრესათ მისივე საკუთარი ბუნება არის და აზროვნების თვისება და არა ცხოვრება და პოეტის სოციალური შეხედულებანი; პოეტს თვით სიცოცხლე არ უყვარს,



პ. გ. კოროლენკო. მ. დ. ბობროვინი. მ. ქსინე გორკი. ან. პ. ჩხოსვი. ად. კ. შელევი (მისაილივი). ვს. მ. ვარშანი.

ცხოვრება არ იზიდავს და სიკვდილს დაეძებს, როგორც ზაირანი. სულ სხვაა სევდა ლევიტოვის, პომილოვსკის, სალტიკოვის, გარშინის და სხვების. ამათ სიცოცხლე უყვართ, ბედნიერებისაკენ მთელი თავისი არსებით მიისწრაფიან, მაგრამ არ მოწონთ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების პირობანი, რომელნიც უარყოფენ საზოგადო ბედნიერებას. ტოლსტოის არსებაში კი სევდის ორივე დასაბამი: ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ერთათ შეერთდა, მაგრამ ტოლსტოიმ უარპყო აქტიური ბრძოლა ცხოვრების სიზახინჯესთან და გლეხის ქობში ჰპოვა ცხოვრების იდეალი. ეს გლეხი და მისი ცხოვრება რემოტნიკოვიდან მოკიდებული ჩეხოვამდე დღევრით დაახსიათეს რუსეთის ბელეტრისტებმა, არაფერი არ გამოტოვეს, მაგრამ სანუგეშო შიგ ვერა ნახეს რა და მემკვიდრეობით ნაანდერძევი სევდა სიტყვა-კმხულ მწერლობაში თანდათან ძლიერდება. ლიტერატურის ასეთი მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლები დღეს რუსეთში არიან ან. ჩეხოვი და მ. გორკი. მაგრამ მაშინ როდესაც ჩეხოვის საზოგადოებრივ სევდას ფილოსოფიური სევდის ელემენტებიც ერევა, რის გამო ზოგიერთი კრიტიკოსი მასში უნუგეშო პესიმისტს ხედავს, გორკის პოეზია ფილოსოფიურ სევდას მოკლებულია.

ანტონ ჩეხოვი დაიბადა 1860 წელს ტაგანროგში. გიმნაზიის გათავების შემდეგ ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში და სალიტერატურო ასპარეზზე ჯერ ისევ სტუდენტობის დროს დაიწყო მოღვაწეობა. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა შეიძლება გაიყოს ორ ხანათ. პირველი ხანა შეიცავს იუმორისტულ მოთხრობებს. აქ მკითხველის წინაშე დგას მხიარული ახალგაზდა, რომელსაც საუცხოვო საოხუნჯო ნიჭი აქვს, მდიდარი ფანტაზია და მოძრავი ბუნება, მაგრამ არავითარი იდეალი არ აშუქებს მის ნაწერებს; მისი ერთათ ერთი მიზანია უმანკო ოხუნჯობა, მხიარული სიცილი — მეტი არაფერი. მეორე ხანაში კი ჩეხოვი სრულებით იცვლება, — წინანდელი მხიარულება, წინანდელი იუმორი მის ნაწერებში აღაგს უთმობენ ღრმა ფსიხოლოგიურ ანალიზს და ცხოვრების დაკვირვებაზე აშენებულ უიმედო პესიმისტს. ჩეხოვი ეხება გაუნათლებელი გლეხობის ცხოვრებას, ინტელიგენტთა წრეს, მაგრამ სანუგეშოს ვერსად ვერაფერს ხედავს. ყველა ის პირები, რომლებსაც ის ხატავს თავის თხზულებებში, სრულებით ჩვეულებრივ ადამიანებს წარმოადგენენ. ის ცხოვრება, რომლითაც ისინი ცხოვრობენ, მათ სრულებით არ აკმაყოფილებს, მათ წყურიათ სხვანაირი ცხოვრება. მაგრამ არც გონება შესწევთ ამ სხვანაირი ცხოვრების გამოსაცნობათ, არც ძალა მის მისაღწევათ და ამგვართ ისინი იძულებული არიან იცხოვრონ უფერული, წვრილმანი და უნუგეშო ცხოვრებით. მოხუცებულები ხედავენ, რომ მთელი თავისი სიცოცხლე მათ უქმათ გაატარეს, დაღუპეს; ახალგაზდანი გრძნობენ, რომ ბნელი ცხოვრებიდან მათ არსად გასავალი არა აქვთ და ისინი იძულებული არიან ფუჭათ გაატარონ თავისი დღენი; აქედან წარმოდგება ის ღრმა სევდა, რომელიც ჩეხოვის მოთხრობათა გმირების საერთო თვისებას შეადგენს; სევდას ის უფრო აძლიერებს, რომ ყველა ეს პირნი გრძნობენ თავის უძლურებას, ყველა ისინი დაწმუნებული არიან, რომ ცხოვრებაში ვერაფერს სანუგეშოს ვერ შეხვდებიან; ისინი თავის გულსავე ასკდებიან

და ზოგი დღეს თუ ხვალ სულით ავადმყოფი გახდება, ზოგი კი ლოთობაში იფიწყებს როგორც მთელ ცხოვრებას, ისე მთელ თავის მწარე ფიქრებსა და იდეებს. სიკვდილს თარ თავსაც. ჩეხოვმა ერთი თვისება შეიჩინა ბოლომდე: როგორც იუმორისტულ მოთხრობებში, ისე შემდეგ მის ნაწერებში მკითხველი ვერ ნახავს ვერაფერს იდეალს, რომელსაც ემსახურება ავტორი: მისი პიესები, რომლებშიც საუცხოვოთ გამოიხატა ავტორის ძლიერი ნიჭი, მაყურებელს აოცებენ ცხოვრების ღრმა ცოდნით, ფსიხოლოგიური ანალიზით და მოქმედების განვითარების სრული ბუნებრივობით, მაგრამ მათში არ არის არც ერთი საიმედო შუქი, არც ერთი გამაზნევებელი მოვლენა, არავითარი იდეალი. რა უყვარს ავტორს, რას ეტრფის ის, როგორია მისი სიმპატია ან ანტიპატია, ამის შესახებ მისი თხზულებები არავითარ პასუხს არ იძლევიან: ცხოვრება უფერულია, უნუგეშო, უიმედო, ის საშინელი მოწყენისა და სევდის მეტს არას აძლევს ადამიანს, მაგრამ სხვანაირი ცხოვრება შეუძლებელია, — აი ჩეხოვის ღრმა რწმენა, რომელიც ნათლათ არის გატარებული განსაკუთრებით იმის უკანასკნელ ორ პიესაში «Дядя Ваня»-სა და «Три сестры»-ში.

სულ სხვაა გორკი. გორკი მარტო ძლიერი ნიჭი კი არ არის, იგი ამავე დროს ძლიერი ბუნებაა. მაგრამ გორკი არა თუ ნიჭით, მთელი თავისი ცხოვრებით ორიგინალური ადამიანია. მაქსიმე გორკი (მისი ნამდვილი სახელი და გვარი ალექსი პეშკოვია) დაიბადა 1869 წელს 14 მარტს, ნიჟნი-ნოვგოროდში ღარიბი დედმამისაგან. ოთხი წლისას მამა მოუკვდა, დედა მეორეთ გათხოვდა და ისიც მალე გარდაიცვალა. პატარა გორკი პაპის ანაბარა დარჩა. წერა-კითხვას ჯერ მას პაპა ასწავლიდა, შემდეგ ის მიაბარეს სასწავლებელში, სადაც გორკიმ მხოლოდ რამოდენიმე თვე დაჰყო. ცხრა წლის გორკი ფესსაცმლის მაღაზიაში მოსამსახურეთ დააყენეს; რამოდენიმე ხნის შემდეგ ის მიებარა მხატვარს, მალე მასაც თავი დაანება და მხარეულის თანაშემწე გახდა გემზე. მხარეულმა თავის შეგირდს კითხვა შეაყვარა; გორკი ყველაფერს კითხულობდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა. მხარეულიდან გორკი გადადის მეზალესთან. მაგრამ სწავლის წყურვილს ის მალე მიყავს ყაზანში; უფულობისა გამო ის იძულებული გახდა მეზულკეს მიბარებოდა და სწავლის მაგიერ ცოპი ეზილა. მალე ამ ხელობასაც თავი დაანება და კვასის ყიდვა დაიწყო. როდესაც ესეც მოწყინდა, დაიწყო აქეთ იქით სიარული, რუსეთის ბევრი ადგილები შემოიარა და შემდეგ თფილისში დაბინავდა პატარა ხანს; აქ ის რკინის გზაზე მსახურებდა უბრალო მუშათ. ლიტერატურული მოღვაწეობა გორკიმ თფილისში დაიწყო. პირველი მისი მოთხრობა «Макарь Чудра» «კაკაზ»-ში იყო დაბეჭდილი 1892 წელს. სამი წლის განმავლობაში მან მთელი რუსეთის საზოგადოების ყურადღება მიიქცია; აქეთ-იქით სიარულს თავი დაანება და მხოლოდ ლიტერატურულ შრომას მიმართა. გორკის მოთხრობებში ყველგან გატარებულია სევდა, მაგრამ ეს სევდა არ არის არც ლერმონტოვის, არც შჩენდრინის, არც გარშინის ან ჩეხოვის; პირველთა სევდა რალაც უიმედო, უმოძრაოა, გორკის სევდა კი ხანდახან თუ მშვიდი და წყნარია, ხანდახან გაბრაზებულია, აღულებული, ამხედრებული და საბრძოლველათ გამზადე



ბული. მეოთხმოცე წლების სევდის დამახასიათებელ თვისებას უძლიურება შეადგენს, გორკისას კი ძალღონის სიჭარბე. გორკის მკაფიო იდეალი აქვს და ამ იდეალით აღჭურვილი იკვლევს ის თანამედროვე ცხოვრებას; რადგანაც ეს ცხოვრება მის იდეალს სრულებით არ შეეფერება, ამიტომ ერთსა და იმავე დროს მისი მოთხოვნები მდიდარ პოეტურ სურათსაც წარმოადგენენ ცხოვრებისას და შეუბრალებელ სატირასაც, იმდენათ შეუბრალებელს, რომ როდესაც დღევანდელი საშუალო ინტელიგენტი უკვირდება გორკის გამირებს და თავის სულიერ სიმდიდრეს მათსას აღარებს, შეუძლებელია თავის თავის არ შეტყუვდეს და თავი ძირს არ დახაროს ამ მაწანწალა ხალხის წინაშე. გორკის მიზანია დღევანდელ ცხოვრების ნაკლებდევანებანი გადუშალოს მკითხველს, ამ ცხოვრებას ძლიერი პროტესტი გამოუცხადოს და მიუთითოს მკითხველს, თუ სად აწის ხსნა, რა აწის საჭიროა ჩხოვრებისა და აღამიანის ასამადლებლათ. გორკის დიდი მნიშვნელობა და ორიგინალობა სწორეთ ამში მდგომარეობს: ის არ კმაყოფილდება მარტო ცხოვრების გაკიცხვით, როგორც შგრებოდენ რუსეთის ყველა ბელეტრისტები და პოეტები, ის გვითითებს წამალზედაც.

თუმც პირველი შეხედვით მის მოთხოვნებს გარეგანი ერთფერობა ეტყობა, მაგრამ მისი ყოველი ახალი მოთხოვნა ახალ-ახალ ფიქრებს უღვიძებს მკითხველს, უფრო უხელს თვალებს და ყოველთვის ახალ-ახალ კითხვებზე უთითებს. თავისი მიზნის განსახორციელებლათ გორკიმ აირჩია სრულებით ახალი და ორიგინალური თემა—**НОСЯКЪ**-თა, ანუ მაწანწალა ხალხის ცხოვრება და მათი სულიერი მდგომარეობა. თვითონ გორკი ფოკუსს წარმოადგენს ყველა იმ ღირსებისას, ფიქრებისა და გრძნობებისას, სულიერი შფოთვისა და მოუსვენრობისას, რასაც ჩვენ მის გამირებში ვხედავთ: ამიტომ ეს წრე ისე საუცხოვოთ, ისე აზრიანათ გორკიმდე არავის არ დაუხასიათებია, თუმცა მას რუსეთის ბელეტრისტთაში წინეთაც შეხებიან ზოგნი. მიუხედავთ ამისა გორკის ნიჭის მთავარი ღირსება ბოსიაკთა საუცხოვოთ დახატვაში სრულებით არ მდგომარეობს, როგორც ეს ბევრს ჰგონია. გორკიმ ასეთი ხალხი განგებ, განზრახული მიზნით ამოიჩია: დღევანდელი ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას ბურჟუაზიული კმაყოფილება შეადგენს და მარტო საკუთარი კუჭისათვის ზრუნვა: ასეთი ცხოვრების მთელი სიბეჩავისა და სისაძაგლის გადმოსაშლელათ საუკეთესო მასალას წარმოადგენს მაწანწალა ხალხი, რომლის გულშიც გორკიმ ჩაგვახედა, რადგანაც დღევანდელი ცხოვრების შეუფერებლობას ისე არავინა ხედავს და არავინა გრძნობს, როგორც ეს ხალხი, ამ ცხოვრებას ისე აშკარათ და ისე სასტიკათ არავინ უცხადებს პროტესტს და არავინ უარყოფს სრულებით, როგორც ბოსიაკები; სწორეთ ამიტომ მიმართა მათ გორკიმაც.

მაშინ როდესაც ჩხოვის გამირები თითქმის ყოველისფერს ცხოვრებას ახვევენ თავზე და თავის სრულ უძლიურებას ცრემლებში ალბობენ, გორკის გამირები თუ ცხოვრების პირობათა ძლიერებას გრძნობენ, ამავე დროს თვით აღამიანსაც ამტყუნებენ, ცხოვრების უვარგისობაში მასაც ბრალსა სდებენ. „ვინ არის ჩვენს წინაშე დამნაშავე? თვით ჩვენ ვართ დამნაშავე ჩვენს თავისა და ცხო-

ვრების წინაშე!“ ამბობს კონოვალოვი. როგორც აღვნიშნეთ ცხოვრების შეუფერებლობაში გორკის გამირები ერთი მხრით თვით აღამიანს ამტყუნებენ. „ნუთუ შეუძლებელია მართლაც ისეთი კანონის გამოგონება, რომ ყველა ისე მოქმედებდეს, როგორც ერთი, რომ ყველას ერთმანერთისა ესმოდეს? ასე შორიშორს ერთი ერთმანერთზე შეუძლებელია ცხოვრება!“ აი მათი მსჯელობა. აქედან ცხადზე ცხადია, თუ როგორი წყობილებისაკენ არის მათი სიმატია. რა არის საჭირო მათ თვალში ასეთი წყობილების განსახორციელებლათ? უპირველესათ აღამიანმა ხელი უნდა აიღოს დღევანდელ ცხოვრებაზე და თვით ეს მაწანწალა ხალხი ასეც იქცევა: დღევანდელ ცხოვრებას ის სრულებით უარყოფს და სხვა გზით ცხოვრობს, მისი სიმატია და სურვილები სრულებით სხვა არის, ვიდრე დღევანდელი ჩვეულებრივი აღამიანის. რაღა უარყოფს დღევანდელი ცხოვრების პირობები, მათ თავის ბუნებაში ამოიშალეს ყოველისფერი, რაც კი აღამიანს ბურჟუაზიულმა პირობებმა შთაუნერგეს. მიუხედავთ იმისა, რომ უმეტესი მათგანი დაბალ წრიდან არიან გამოსული, ისინი სრულებით განთავისუფლებული არიან მიწის მონობისაგან; ოქროს სასახლები რომ დაუდგათ და სრულს კმაყოფილებაში ამყოფოთ, მიწას ისინი მაინც აღარ დაუბრუნდებიან. მაგალითათ «ბალკა»-ში სერიოჟა იაკობზე ამბობს: «სოფლის სუნი უდის და მე კი ეს სუნი მეჯავრებაო». კერძო საკუთრების უზომო სიყვარული და ფულის გაღმერთება ჩვენის დროის ერთ ნიშნობლივ მოვლენას შეადგენს. გორკის მაწანწალა ხალხი კი ამ მოვლენის გარეშე დარჩენილი; არავითარი კერძო საკუთრება მას არ იზიდავს, ბურჟუაზიული კმაყოფილებისადმი მას არავითარი მისწრაფება არა აქვს. «ბოსიაკებში» ჩვენ ვხედავთ აგრეთვე ნამეტან გულკეთილობას. როდესაც მოთმინებიდან გამოდიან, მაშინ საშინელი სიმხეცის ჩადენაც შეუძლიათ, მაგრამ სამაგიეროთ ამხანაგობა, ერთმანერთის გატანა გაქირვების დროს, შებრალება და სხვ. საუკეთესოთ შეუძლიათ. როდესაც უყუარებთ გორკის **НОСЯКЪ**-ს, გინდათ ის შეიბრალოთ, გინდათ მალლიდან გადმოხედოთ და თქვენი საქმიანობა, თქვენი აზრიანი ცხოვრება მის ცხოვრებას დაუპირდაპიროთ, მაგრამ მისი სახე აშკარათ გეუბნებათ, რომ თვით მას ებრალებით თქვენ. ის თავის თავს გაცილებით მალლა აყენებს თქვენ თავზე, თავის მდგომარეობას—თქვენ მდგომარეობაზე. დღევანდელ ჩვეულებრივ აღამიანსა და „ბოსიაკს“ შორის დიდი განსხვავებაა: პირველი ყურებაზე ჩაფლულია დღევანდელი ცხოვრების წუმპეში და იქიდან ამოსვლას არ ცდილობს, მეორე კი ამ წუმპედან ამოვიდა, სრულებით სხვა გვართ ცხოვრობს და ახალს გზას ეძებს; პირველი მძოვრია აწმყოში, მეორე კი მომავლის სპეტაკი სულია, მაწანწალას სხეულში ჩასახული. «მე უნდა ამოვშალო ჩემს არსებაში ყველა ჩემი გრძნობანი და ფიქრები, რომლებიც ოდესღაც ჩემი იყვენ... ჩვენთვის საჭიროა რაღაც სხვა, სხვა შეხედულება ცხოვრებაზე, სხვა გრძნობანი... ჩვენ გვეჭირება რაღაც ახალი», ამბობს გორკის ერთი გამირი. ყველა ეს «ბოსიაკები» თავის არსებაში ძალას გრძნობენ და იმიტომ ყოველგვარ შემთხვევაში მეტათ გულმაგარი და ამასთან გამხედავნი არიან, მაგრამ იმათ უმთავრესი თვისება თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი უზომო,

სტიქიური სიყვარულია. თავისუფლება იმათ ორგანიზულ მოთხოვნებს შეადგენს, უამისოთ მათ ცხოვრება არ შეუძლიათ.

გორკის გმირები, თუმც ყველანი რეალური პირნი არიან, თვით ცხოვრებიდან ამოღებული, თუმცა მათს დახასიათებაში გორკის რუსეთის მწერლობაში ტოლი არა ჰყავს, მაგრამ გორკის მნიშვნელობა მაინც ამაში არ მდგომარეობს; მან შთაბერა მომავლის სული თავის გმირებს, მათში გამოხატა დღევანდელი კაცობრიობის საუკეთესო და მასთან უსაქიროესი, მომწიფებული მისწრაფებანი; ცალის ხელით გორკი აქცევს აწმყოს, მეორეთი ის აშენებს მომავალს, გვითითებს, თუ როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ და როგორი მომავალი უნდა შევქმნათ, და აი აქ არის გორკის ძალა და მისი ღრმა მნიშვნელობა. რუსეთის ბელეტრისტიკის უმოძრაო, უძღური და უიმედო სევდა გორკის ნიჭმა მოძრა, დაუდგრომელ, ძლიერ და იმედით აღსავსე სევდათ აქცია; გორკი წინ მისწრაფის მთელი თავისი ძლიერი არსებით და იქითკენ ეზიდება ძლიერათ კაცობრიობასაც; აშენდება ის, რის აშენებასაც გორკი გვიქადაგებს ან შევძლებთ აშენებას? ამას მომავალი დაგვანახვებს, ხოლო უპირველესი პირობა კი ამისთვის იმ კარგი თვისებებით აღჭურვაა, რომლებსაც გორკი გვიხატავს თავის გმირებში.

ი. გომარული.

სსვადა-სსვა ამბები.

უმაღლესი ბრძანება. ამა წლის მაისის 31-ს სამინისტრომ შემდეგი წინადადება წარადგინა მინისტრთა კომიტეტში გაძლიერებული დაცვის (усиленная охрана) შემოღებაზე ზოგიერთ გუბერნიებსა და ქალაქებში:

I. გუბერნიებში: პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, ეკატერინოსლავის, კიევის, პოდოლის და ვოლინის, ქალაქებში: როსტოვში (დონზე), ტავანროვში, ნახიჩევანში, სოფელ კასპროვკაში და ტავანროვის ოლქში, პოსადებში ბოლოთადენკაში და კალონკაში, დაბა ვორკაჩუკაში (ხერსონის გუბერნია), და აგრეთვე პეტერბურგში, ოდესაში, ნიკოლაევში და იმ ადგილებში, რომლებიც ექვემდებარებიან კრონშტადის სამხედრო გუბერნატორს, უკვე შემოღებული გაძლიერებული დაცვის ვადა გაგრძელებულ იქნას 1901 წლის 4 სექტემბრიდან კიდევ ერთ წელიწადს.

II. ამავე ვადით გამოცხადებულ იქნას გაძლიერებული დაცვა ქალაქებში: თფილისში და ბაქოში მახრითურთ; პოკროვსკის და შუისკის მაზრებში ქალაქ ივანოვო-ვოზნესენსკითურთ, ქ. ელიზავეტოვადში, პოსად ვოსკრესენოვკაში და დაბა კრივოი-როვში (ხერსონის გუბერნიაში) და

III. იმპერიის იმ ადგილებში, სადაც გაძლიერებული დაცვა არ არის გამოცხადებული, მოქმედებაში იქნებიან 28, 29, 30 და 31 მუხლები სახელმწიფო წესწყობილების და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის დებულებისა.

მინისტრთა კომიტეტმა განიხილა რა შემო აღნიშნული წარდგინება, დაადგინა: გამოთხოვილ იქნას ამაზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უმაღლესი ნებართვა. ხელმწიფე იმპერატორმა, 29 ივნისს 1901 წ., მინისტრთა კომიტეტის დადგენილების უმაღლესი დამტკიცება ინება.

თფილისის გუბერნატორმა უკვე აცნობა თფილისის პოლიციისტერს, რომ ქ. თფილისში გაძლიერებული დაცვა ერთი წლის ვადით შემოღებულ იქნას 4 სექტემბრიდან.

აღუძრავთ კითხვა სადაც ჯერ არს, რომ დაწესდეს თფილისში მეფხოეთა ინსტიტუტი. გაძლიერებული დაცვის წესით ინსტიტუტის დაარსება დამოკიდებულია კავკასიის მთავარმართებელზე.

საგუბერნიო ადმინისტრაციამ წინადადება მისცა თფილისის ქალაქის საბჭოს განიხილოს ხელახლა საკითხი შესახებ საადრესო დაწესებულებისა და ცეცხლის მქრობ რაზმის რეორგანიზაციისა.

კავკასიის ადმინისტრაციას აღუძრავს კითხვა, რომ მიეცეთ ნება ბინის დამქირავებელთ მონაწილეობა მიიღონ თფილისის ქალაქის არჩევნებში.

ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა პროექტი თფილისის სავაქრო სკოლის დაარსების შესახებ. სკოლის დასაარსებლათ ა. ი. მანთაშევა გადასდვა 50 ათასი მანეთი.

რამდენსამე ნოქარს თფილისის გუბერნატორისათვის მიუცია თხოვნა იმის შესახებ, რომ მიუხედავთ თფილისის საბჭოს დადგენილებისა ზოგიერთი მალაზიები ვაქრობენ კვირა-უქმე დღეებში და მით გვართმევენ ამ კოტაოდენ თავისუფალ დროსაცო. ნოქარები თხოვენ გუბერნატორს დაევალოთ შემოხსენებულ ვაქრებს, რომ მტკიცეთ აღსრულონ მათ ქალაქის საბჭოს დადგენილება.

კავკასიის მეორე საინჟინერო ოლქის კანცელარიის ცნობებით, ბალახანა-საბუნჩის ნავთის ქარხნებში 1900 წ. განმავლობაში უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულა 1484 კაცი. ამათგან სამი კვირის განმავლობაში მორჩა 847 კაცი. სამი თვის განმავლობაში—347; არ შეეძლოთ მუშაობა სამი თვის განმავლობაში 19-ს, ხოლო სრულებით აღარ შეეძლო მუშაობა 210 კაცს, გარდაიცვალა 61.

მომავალი წლის პირველ იანვრიდან რკინის გზებზე გაიხსნება პროფესიონალური კლასები სატელეგრაფო შედამხედველების მოსამზადებლათ.

ძმ. წოვიანოვების ბათამის ნავთის ქარხანაში მუშაობა შეწყვიტეს. ოთხსამდე დღიური მუშა და ასზე მეტი მედროვე დარჩენილა უსაქმოთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობით გაუქმებულ იქნება კავკასიის გერმანელთა ახალშენების მართვა-გამგეობა. ამიერიდან ეს ახალშენები უნდა დამოორჩილონ საზოგადო წესს, რომელიც არსებობს კავკასიაში.

ამ ქამათ თფილისის ადმინისტრაცია ადგენს პროექტს თფილისის პოლიციის მტატის გაძლიერების შესახებ. მოუმატებენ ორ უბნის ზედამხედველს და ოც პოლიციელს.

თფილისის რკინის გზის ტექნიკურ სასწავლებელში



შესასვლელათ თხოვნა მიუცია 108 ყმაწვილს, ხოლო ვა-
კანსია ოცდახუთი.

დაბა ხონში და ახალსენაკში განუზრახავთ დააარსონ
სასოფლო ქსენონები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას პეტერ-
ბურგის რკინის გზის უმთავრესი მმართველობისთვის მიუ-
წერია, რომ დაუყოვნებლივ უნდა შევეუდგეთ ჭიათურისა და
საჩხერის რკინის გზის გაკეთებას და გთხოვთ საჭირო
ფული გამოუგზავნოთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმარ-
თველობას.

თფილისის გუბერნატორმა მიწათმოქმედების სამინისტროს
სასოფლო ლაბორატორიიდან მიიღო წამალი (ბერეკტორესკის სითხე)
თავგვების ამოსაწყვეტათ.

სოფელ მარტყოფში (თფილისის მაზრა) გაიხსნა სა-
სოფლო ქსენონი. ქსენონის ექიმს წელიწადში დაენიშნა
1200 მანეთი ჯამაგირი და უფასო ბინა.

სენატმა განმარტა ერთი საგანი, რომელსაც ფრიად
დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს გლეხ-
თა ცხოვრებაში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საგლე-
ხო კანონთა ძალით მებატონეს ნება აქვს ჩამოართვას
გლეხს სანადღროთ მიცემული ვენახი, თუ იგი წამხდარია
გლეხისაგან მოუყვლელობის მიზეზით. დასავლეთ საქართ-
ველოში, როგორც ვიცით, ფილოქსერა გავრცელებული,
და ვენახები ფუჭდება. ზოგიერთ მებატონეთ ისარგებლეს
ამ შემთხვევით და გლეხებზე საჩივარი განაცხადეს სათანა-
დო დაწესებულებაში და თხოულობდნენ გლეხებს ჩამორ-
თმეოდან ვენახი და მებატონეებისთვის მიეკუთვნებინათ.
ეხლა სენატმა განმარტა, რომ თუ გლეხი წარმოადგენს
მთავრობის აგრონომის მოწმობას, რომ წამხდარი ვენახი
იმ ადგილებშია, რომლებიც ფილოქსერით დაზარალებულ-
ათ ცნობილია, მაშინ ეს ვენახი აღარ ჩამოერთმევა
გლეხს.

შინაური მიმოხილვა.

ჩვენმა სოლოლაკელთა საბჭოს გამგებამ ერთი მი-
სი დამახასიათებელი მაგალითი ამ კვირაშიც მოგვცა.
შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა ქალაქის გამგეო-
ბას: შესაფერი და სასურველია ქალაქის ხმონების იმავე
ქალაქის მეიჯარეთ ყოფნა თუ არაო, და ჩვენმა გა-
მგებამაც გამოთქვა ამ საგანზე თავისი აზრი. თუმცა
წარსულში ასეთი მაგალითი ამ ათი-თორმეტი წლის გა-
ნმავლობაში მხოლოდ ორი ქონია ჩვენ თვით მართ-
ველობას, მაგრამ ორივეჯერ მეიჯარე-ხმონებმა პირ-
ნათლათ შეასრულეს თავისი მოვალეობა და ამიტომ
არც წარსული მაგალითი და არც სხვა რამ მოსაზრება
ნებას არ გვაძლევს შეუფერებლათ ვცნოთ ასეთი შეერ-
თება (совмѣщеніе); ხოლო თუ ეს კანონით აკრძალუ-
ლი იქნება, მაშინ ქალაქი ბევრს დაკარგავს. შესაძლებ-
ლია ამ კანონმა ბევრი გამოცდილი და მცოდნე პირის
რჩევა დარიგებით სარგებლობის საშუალება დაუკარგოს
ქალაქს, თუ ისინი შემთხვევით ქალაქის კონტრაგენტე-
ბი გამხდარანო. ასეთია გამგეობის მსჯელობა, რომელსაც

კიდევ უფრო ამტკიცებს, მათი აზრით, ყოფილ ორი მა-
გალითი: აქ ორივე კონტრაგენტი უფრო ქალაქისთვის
ზრუნავდნენ თურმე, ვიდრე თავის ჯიბისთვის, იჯარების
შესრულების დროს. გამგეობისავე აზრს ემორწმუნა, რასა-
კვირველია მისივე აზრით, წარსული, რომელიც გვა-
ცნობს, რომ მრავალ წელთა განმავლობაში ჩვენი თვით-
მართველოების ორგანოები—გამგეობა და საბჭო—არა-
სოდეს არ შეშინებინან და არ დარიდებინან კანონიერი მო-
თხოვნით მიემართათ კონტრაგენტ-ხმონებისათვისო. აბა
დაუკვირდით, მკითხველო, როგორა ჰგავს ეს გამგეობის
მსჯელობა სოლოლაკელთა მსჯელობას, როგორ სინამ-
დვილით გვამცნობს მათ წარმოდგენას თავიანთ თავზე,
რომ გარეშე სოლოლაკელთა არც ცოდნაა, არც ქალა-
ქის საქმეების სიყვარული, რომ მხოლოდ ისინი არიან
მართლი ამა სოფლისა. მათთვის წარმოუდგენელია თუ
რამე უხერხულობა იმაში რომ კაცი თვით იყოს თავის-
თავის მეიჯარე, კონტრაგენტი, და თავისი თავიც
მოიტყუილოს, რასაკვირველია, სხვის ხარჯზე. მართლაც
ის არა ჯობს სოლოლაკელისათვის, რომ იჯარა აიღოს,
როგორმე საქმე შეხანხლოს, მოაფუსფუსოს და მერე ქა-
ლაქის მამის—ხმონის სამოსელში გახვეულმა თვით მიი-
ღოს იგი, თვით შეიქნეს მისი დამფასებელი. ამის წარ-
მოდგენა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინაც იჯარადრის
გაჭირვებას იცნობს შესრულებული იჯარის ჩაბარების
დროს, რამდენი დავიდარაბა სჭირდება ამ დროს მას—
ხან ერთს უნდა მოუქონოს თავი, ხან მეორეს ნამუშევარ-
ი არ დაუწუნონ და ვინ იცის მოგების ნახევარი კიდევ
რომელიმე დამფასებელს და შემმოწმებელს უნდა მიე-
ცეს, რადგან იჯარა ხშირათ ერთობ «პირნათლათ» არის
ხოლომე შესრულებელი. აქ კი თვით იქნება იჯარის გამ-
ცემიც და მიმღებ-შემსრულებელიც, ფული-კი ქალაქისა,
და ამაზე უკეთესს სიზმარშიაც ვერ ნახავს კაცი. არც
გამტყუნება სოლოლაკელთა არჩეულ გამგეობას ასეთი
შეხედულება, რადგან იგი ისევ სოლოლაკელთა საბჭომ
უნდა განიხილოს, და რაღა იგი აღმასრულებელი ორ-
განო, რომელიც თავისი მბრძანებელის სურვილს წინდა-
წინვე ვერ მიხვდება. საბჭო, დარწმუნებული ვართ, კიდევ
უფრო ძლიერ საბუთებს წარმოადგენს ამ აზრის დასამტ-
კიცებლათ. საკითხავი აქ მხოლოდ ერთია, რატომ სხვა-
გან ვერ ახერხებენ ამ ორ მდგომარეობის შეთანხმებას
ერთ პირში. როგორც ვიცით, არც ერთ დაწესებულების
წევრს ნება არა აქვს იმავე დაწესებულების იჯარადარი
ან კონტრაგენტი შეიქნეს, ყველგან უხერხულათ მიჩ-
ნიათ, რადგან ყველა კაცი კაცია და როცა სხვისა და
მისი ინტერესი შეხვდება ურთი-ერთს, ყოველთვის მეო-
რეს ეძლევა უპირატესობა. ცნობილია აგრეთვე, რომ ძა-
ლლი ძაღლის ძვალს არ გატეხს, კაცთა შორის განწ-
ყობილებაშიც დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს,
და თუ ნამეტურ მოსალოდნელია ასეთ პირობაში შენ თვი-
თონ მოყვები და დღევანდელი იჯარადარი ხვალ შენი
მსაჯული იქნება, არა გვგონია ადგილი ექნეს თავისუ-
ფალ, «დამოუკიდებელ, მკაცრ» კრიტიკას, ყველამ ვი-
ციოთ რომ მხოლოდ იმას მოვიმკით, რაც დავითესია.
ასეთია საზოგადო კანონი, ხოლო თანამედროვე აზრი
კიდევ უფრო შორს მიდის, და საფრანგეთში იუსტიციის
მინისტრს ადვილიდან გადაყენება მოელის მარტო იმი-
ტომ რომ რაღაც დღინის თუ სპირტის წარმოებაში მო-

ნაწილად ყოფილა. მაგრამ ყოველივე ეს ზოგადი მოსახრებაა, ჩვენი მამები კი სულ სხვა კაცები არიან, ჩვენი მეიჯარენი მარტო ქალაქზე ფიქრობენ და მას ანაცვალავენ ყველაფერს. და თუ უბრალო ხმონები ასეთებია, გამგეობის წევრები ხომ უკეთესი იქნებიან, როგორც რჩეულთა რჩეულები; და ისინი რათ გამოარიცხეს, მაგრამ ეს შორიდებულების ნიშანია და ამას ალბათ საბჭო იტყვის. დავიცადოთ და ამასაც გავიგონებთ...

„Тифл. Лист.“-ის ერთი მკითხველი (№ 192) განმარტავს თუ რატომ «ემტერება» რკინის გზის მეისრე (стрелочникъ) მგზავრებს და მატარებლებს და დღემუდამ უბედურებას ახდენს: ხან მატარებლებს დააჯახებს ერთმანერთს, ხან რეისებიდან გადუშვებს და დაამტვრევს და სხვ. მეტათ საინტერესოა ეს წერილი. აქ ჩვენ მიმოხილვაში მხოლოდ მისი რამდენიმე სტრიქონის ამოწერა გვინდა სიტყვა სიტყვით: «საქმე ის არის, რომ გარდა ყველა იმ მოვალეობათა, რომელთაც ამ მეისრეს აკისრებენ მისი მოვალეობის მიხედვით (საკმაოთ ბლომათ), მორიგეობისგან თავისუფალ დროს მან უნდა შეასრულოს ის საოჯახო მოვალეობანიც, რომელსაც მას სადგურის უფროსი ავალებს. ამ დროს ის მწყემსიც არის, მზარეულიც, ლაქიაც და ხშირათ ქალბატონის ხელზე მოსამსახურე გოგოცაო», ამბობს „Тиф. Лист.“-ის მკითხველი, და, «რასაკვირველია, ასეთ პირობებში მოსვენებაზე და ძალის აღდგენაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია».

«ნუთუ, არ შეიძლება ასეთი წესის თავიდან აცილება და მით იმ უბედურებათა რიცხვის შემცირება, რომელნიც ხშირათ მართლა მეისრეების დაქანცულობის პირდაპირი შედეგია?» ვიკითხავთ იმ წერილის ავტორთან ერთათ ჩვენც...

ნუთუ არც ბ. ზდანოვიჩს შეუძლია ვასილ წერეთლის ბრალდებათა აცილება და მწერლობას ნიორადე-გუგუშვილ-ნარაკიძეთა საზიზლარის საქციელისა. რამდენათ სათნო, მომთმენი, და აუჩქარებელია პირველი, იმდენათ უცხვირპირო არამკითხვე მოამბეები არიან მეორენი და მათზე არას ვიტყვი. პირველს ცხვირპირში ერთ ბრალდებაზე მეორეს არტყამენ, მაგრამ ის ხმას არ იღებს, საკვირველის მოთმინებით ეპყრობა მოპირდაპირეს, თუმცა დარწმუნებული ვართ საბუთები ექნება, აბა როგორ წარმოვიდგინოთ „ქუთათურების მომჯადოებელს საბუთი არა ქონდეს, როცა მთელი ქუთათისი ერთ „აბლაკატურ“ საბუთის ქალაღდათ არის გადაქცეული. მე მგონია ის იმ ბრძნულ ანდაზას ემხრობა, რომელიც ამბობს: „ყბედი მუნჯმა დალალოა“. ასეთია ამ ყოფილი ლიტერატორის ტაქტიკა მწერლობაში, მაგრამ კახაბერიც კაცია და მიინცვერ მოუთმენია და კერძო ლაპარაკში გამოუცხადებია, რომ ყოველივე, რასაც წერეთელი წერს, სიცრუეაო. ბედნიერია, ვინც მასთან პირადი ბაასის ღირსია, ის ნამდვილ ამბავს გაიგებს, ხოლო ვინც მარტო მწერლობით ვადევნებთ თვალყურს ამ უსწორო ბრძოლას, ისინი ვიჩაგრებით, არ გვაქვს საშუალება ნამდვილი ვიცოდეთ და კარგი იქნება ყოფილმა ლიტერატორმა ერთხელ კიდევ აიღოს კალამი ხელში. თვით ზევსიც კი დაქექდა ხოლმე, როცა კაცთა შორის ნამეტან უსამართლობას ან მედიდურებას დაინახავდა!..

სიონისტების კრება თფილისში.

20 აგვისტოს გაიხსნა თფილისში სიონისტების პირველი კრება კავკასიაში. სიონიზმი, როგორც მოძრაობა, რომელსაც მიზნათ აქვს ებრაელების ეროვნული გაერთიანება და პალესტინაში დასახლება, დიდი ხნის ამბავი არ არის. მართლაც ებრაელები, გაფანტულნი დედა მიწის ყველა კუთხეში, სადაც კი აღმართს თვისი დაუდგამს, მრავალ საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ პალესტინაში დაბრუნებას, მაგრამ ამ ოცნებას ბევრად მხოლოდ მეცნიერულ საუკუნის მეორე ნახევარში გაუღმა რამდენიმეთ. ამის მიზეზი იყო უმთავრესათ ანტისემიტური მოძრაობის გაძლიერება სხვადასხვა ქვეყნებში. ამ გაძლიერებამ გამოიწვია ებრაელების გადასახლება, ემიგრაცია, ამერიკაში და პალესტინაში, ევროპის სხვა-და-სხვა ადგილებში გაჩნდნენ წრეები, რომლებსაც მიზანი იყო სამიწათმოქმედო კალახების დაარსება პალესტინაში და ეროვნული თვითცნობიერების აღორძინება ებრაელებში. 1884 წელს პრუსიის პარტიკულარში, კატოვიცაში, შედგა ამ წრეების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც დაარსეს საზოგადოება სახელწოდებით „სიონის მეგობარნი“. ამ საზოგადოების მიმდევარნი იწოდებიან სიონისტებათ. საზოგადოებამ დაიწყო მოქმედება; იმავე დროს რუსეთის მთავრობამ ნება დართო „სიონისაში და პალესტინაში მიწის მუშა და სელისან ებრაელების დამსახურებელ საზოგადოებას“. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ დიდძალი ებრაელები მიასწდნენ პალესტინას; ამ მოძრაობას წინააღმდეგ ოსმალეთის მთავრობა, რომელმაც აკრძალა პალესტინაში ებრაელების ჩასახლება. ამ დაბრუნების თავიდან ასაშორებლათ და აგრეთვე ახალის მოძრაობის გასაძლიერებლათ ქ. ზანკელში 1897 წელს მოწვეულ იქმნა სიონისტების პირველი კონგრესი, რომელმაც შეიმუშავა შემდეგი პროგრამა მოქმედებისათვის: სიონიზმის მიზანი არის შექმნა პალესტინაში ებრაელებისთვის თავშესაფარის, რომელიც უსრულებელი იქნება უნდა იქმნას კანონით. ამ მიზნის საშუალებათ უნდა ჩაითვალოს: პალესტინის დასახლება ებრაელ მიწის მუშებით, სელისანებით და მრეწველებით, გაერთიანება ებრაელებისა სხვა-დასხვა ადგილებში თუ საზოგადო ორგანიზაციების დაარსებით და სხვ.

სიონიზმის მიზნის გასასორციელებლათ დაარსებულ იქმნა ლონდონში «სახალშენო ბანკი» ერთი მილიონ სტერლინგის ძირის თანხით. შემდეგში სიონიზმს შეუერთდეს სხვა სახალშენო საზოგადოებასა, როგორც, მაგ., «უზრა», ზარონ გარმის «ებრაელების სახალშენო საზოგადოება და სხვ. ამ უამათ სიონისტების კონგრესი დროგამოშუბით იკრებება ევროპაში.

თფილისში სიონისტების კრება გაიხსნა იუენერის უნივერსიტეტის თავმჯდომარეობით. კრების დაწყებისას თავმჯდომარემ მოკლეთ გააცნო დამსწრე ებრაელთ სიონისტთა მიმართულება და მისი მნიშვნელობა, აგრეთვე დაასურათა ვრცლათ ის, თუ რა გავლენათა სიონისტების მოძრაობის საქმის მეთაურთ. მათ დაუარსებათ სიონისტთა ბანკი, საიდანაც დღემდე 600,000 მან. შემწეობა აღმოუჩინათ შეუძლებელ ებრაელებისათვის.

ლონდონში ამ ერთის წლის წინათ მომხდარ კონგრესზე სიონისტებს დაუდგენიათ რიონებათ დაიონ ის ადგილები, სადაც ებრაელები ცხოვრებენ. მალე ლონდონში სიონისტთა მე-1 კონგრესი მოხდება, რომელზედაც ანკარის წარსადგენათ უნივერსიტეტის თფილისში ეს კრება დაენიშნავს. დიდი



გაუგუნა იქონია დამწერე ებრაელებზე როგორც თვით თავმჯდომარისა, ისე მათის რაზმის ლეგინის სიტყვამ. მათ სიტყვებს ხაღნი ადტარებულის ტაშის ცემით მიეგება. ეს სხდომა დამთავრდა აღნიშნულ რაზმის სხვა-და-სხვა წრეების წარმომადგენელთა ანგარიშების წავითხვით, საიდგანს სჩანს, რომ უმრავლესობა ებრაელებისა დიდის ადტარებით კვიდება სიონისტების მიერ დაწესებულ საქმეს.

კორესპონდენციები.

პიათურა. როგორც ესომუხათ მკითხველებს, შარშანდელ კრებაზე თეატრის ასაგებათ თუ მოსაწეობათ გადაიღვა 2,000 მან. წლიურათ, მაგრამ რადგან ეს ფული არ უოფნიდათ სახლის ასაგებათ, ამიტომ იქარავეს გვარისანი დიდი დარბაზი, მგონი 500 მან. წელიწადში, შუაგულ ალაგას და თეატრიც რიგისათ მოიწეო: სტენა, ლოკები, პარტერი და სხვა მოხდენილათ არის გაკეთებული. სტენასზე ოთხი ოთასიღ კია გაკეთებული კულისებათ: ორი—კაცებისთვის და ორი—ქალებისთვის. რაც შეეება დეკორაციებს... ამასე კი უგანრავათ, ნუღარას მკითხავთ, იმასთან სამაგლობა რამ არის. მე მგონია მოსწავლე ბავშვს უნდა გაკეთებოდნ ისინი! ავიღოთ, მაგალ., ტუე: დასატულია ორი ბუნქი და თუ არავინ ავიხსნის, რომ ეს ტუეა, თქვენით ვერ მისვდებით; ასეთივეა ოთასები და სს. და აუცილებელი საჭიროა წარწერა: «СЕ ЛЕВЪ, а НЕ СОБАКА», მათი ღობი უფრო ძაღლს ჰგავს!.. ამბობენ ვითომ ბ. ბალანჩივაძეს გაკეთებოდნ ეს დეკორაციები, მაგრამ არ გკვირა, რომ უფასოთაც კი შეურაცხყოფს ასე რომელიმე მოსვლემ თავისი მარჯვენა და ისეთი ნაწარმები გაკეთოს, რომ უგულა მას შერცხვენას უთელიდეს, აქ კი დეკორაციებში 400 მანეთამდეა დასარჯული. გაკვირს რათ მიუღიათ ასეთი ნამუშაური მათ, ვისი საქმეც იყო ეს... გადავიდეთ წარმოდგებებზე.

წარმოდგებებს მართავენ ქუთაისის სახალხო წარმოდგენების სტენის მოყვარენი. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შეუწივას ამ წრისთვის 1000 მან. იმ პირობით, რომ მათ ჭიათურაში იაფ ფასისანი წარმოდგენა გამართონ მუშა ხალხისთვის. ამნაირათ საბჭოს «გვიციც გაუხდენია და ხათლიადაც უნასავს» — ქველმოქმედება გამოუღია და სახალხო წარმოდგენებიც შიგ მოუყოლებია. ვინ იტყვის, რომ საზოგადო საქმის შეწევა ცუდი იყოს, მაგრამ ორი კურდღლის მდევარივით მოუვიდა ჩვენ საბჭოსაც!

ჩვენი აზრით, პროვინციებში წარმოდგენები საუკეთესოთ და უმჯობესათაც კი უნდა გამართოს, ვიდრე ქალაქში, სადაც ხალხს საშუალება აქვს ცუდი კარგს შეადაროს და გონებაში რამე განსაზღვრული წარმოდგენა შეჩქეს თეატრზე და ატისტიკაზე. პროვინციებში კი რახაირ ესტეტიურ გრძობასაც გაუხსნით ხალხს, იმ ნაირით იცხოვრებს, თუ ბედმა ქალაქ ადგილას არ გადაადგო იგი, და შესაძლებელია, თუ რამდენჯერმე ცუდ წარმოდგენებს უყურა, სულაც დახეობს თავი თეატრში სიარულს, და თუ არ დახეობა, იაროს მხოლოდ საშინაოდ აზრით. — აი, ამ ნაირსავე აზრს შეადგენს ხალხი, მე მგონია, ქუთათურების მიერ აქ გამართულ წარმოდგენებზე კერძოთ და თეატრზე საზოგადოთ. ავიღოთ, მაგ., 4 და 5 აკვისტოს წარმოდგენები: «ცემიბირელი» და «ბიძისთან გამოსუმება». უმთავრესი პირველ პიესაში, როგორც მოგესხენებათ, კავკასელი პეტრუს როლია, და თუ იგი სელაგხურათ არ შესრულდა, სრულიათ კვარება მნიშვნელობა და ეფექტი.

ჩვენი ამ დღის პეტრუს (შველიძე) სრულებით არ გაუდა ცაგარლის პეტრუსს, და დაწმუნებული ვართ, ბ. ცაგარელი ვერც იცნობდა თავისი ნაწარმების გმირს; იგი წარმოდგენდა არა რომელიმე კინტო-მა-ბიჭს, რომელსაც თავისი შესაბამისება აქვს ცხოვრებაზე და თავისი განსაზღვრული განზნობით მოქმედებს, როგორც, მაგალ., მის-ბიჭის დასმარება და მისთვის სიკვდილიც კი, ცუდის დაგმობა, ბორბობის წინ გამკლავება, ღამისი ქალების სიყვარული და ღვინით ქეიფი, — არამედ იგი მოგვგონებდა თვითისეულ ქუჩის მასხარა ბიჭს, რომელიც სიტყვებს არასუნებს და მათი მნიშვნელობა არ ესმის. «ხალხმა ტაში დაუგარა», ამბობდენ იმ დღეს, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, რადგან ხალხი სშირათ სიტყვებს უგარავს ტაშს; წარმოდგენას კი სულ სხვა გაუგუნა უხდა ჰქონდა. მანუთისანი უკეთ შექმლელ დაესტა ბ. შალვა დადინს, როგორც გამოცდილ აქტიორს. ნარგოზა (ქ. რობაქიძე) და ქლე-სოვი (კრანცივი) სრულებით არაფერს არ გაუგუნ და ტიკინებს უფრო მოგვგონებდენ. ასევე როგორც იყო ივანე (ბ. რობაქიძე) ჯობდა სხვას; მასუასაც (კლდიაშვილი) არა უშავდა. სხვების დასადათებას აღარ შეუეღებოთ, რადგან კარგი არაფერი ითქმის, ოღონდ მმართველთ კი შეგნიშნავთ, რომ გონიერება მოითხოვს სტენის-მოყვარეთ (ნამეტურ როცა ფულს იღებენ) ან არ უნდა იკისრონ მხელი პიესების დადგმა, სადაც განსაკუთრებით არტისტიული ნიჭია საჭირო, ან და ამისთანა შემთხვევისთვის უნდა მოიწვიონ უსათუოთ ერთი უმთავრესი როლის აღმასრულებელი არტისტი მანინ, რომ წარმოდგენამ რიგისათ ჩაიაროს. ჩვენ გვწამს, რომ წარმოდგენების საქმე ჭიათურაში უკეთ მოეწეობდა და აი როგორ: როდესაც სახალხო წარმოდგენების მართვა მოინდომეს და ფულიც გადადგეს, პირველ ყოვლისა დრამატული საზოგადოებისთვის უნდა მიემართათ, შემდეგ კერძო ანტრეპრენიორებისთვის და თეატრის მცოდნე პირთათვის, და ვინც საუკეთესო პირობებს წარმოდგენდა იმისთვის უნდა გადაეცათ საქმე. ჩვენ ვერ შევანთებთ სელაგხებს და ქველმოქმედებას ერთათ, თუ პირველი შეჩქეს მიხეცით გოჭლდება. ამას წინათ ერთმა პატრივტულმა დრამატული საზოგადოების წევრმა მითხრა: ჩვენ რომ გავგებოდნ, 1000 მანათათ 10 წარმოდგენას გავმართავდით და საუკეთესო არტისტებსაც გამოვზავნიდით. ქუთათურები კი თითო წარმოდგენაში იღებენ 150 მან. და დალოცვილებმა თითო შარი მანინ მოიწვიონ სოღმე უმთავრესი როლის აღმასრულებელი, რომ არც წვადი დაიწვას და არც შამიურნი.

ბ. მოდებაძე.

ს. ბახნი (გურია). გასულ ივლისის 29-ს მოსდა ადგილობრივი საზოგადოების «დასმარების» პირველი კრება მდ. იაკ. ბორხნაძის თავმჯდომარეობით. ამ თავით საზოგადოებას მხოლოდ 41 ნამდვილი წევრი აღმოუჩნდა. კრებას უნდა განესილა რამდენიმე საკითხი; ამათში უფრო საყურადღებო იყო არჩევა საზოგადოების გამგეობის წევრთა. არჩეულ იქმნა სამი პირი: 1) დამწეები ამ საქმისა ვირ. ჰელიძე, 2) გიგო მგალობლიშვილი და 3) ნესტორ ცეცხლაძე. დიდი ვამათი გამოიწვია საწევრო ფულის მოკლე ვადაში შემოტანამ. ამნაირათ საზოგადოება «დასმარება» დღეს უგვე ფაქტიურათ არსებობს სოფ. ბასში, სოლო რა საუოფს გამოიღებს, ამას მომავალი დაგვანახებს. მაგრამ ის კი უნდა აღნიშნოთ, რომ მისი კეთილდღეობა ბეჭნაირათ გამგეობასუა დამოკიდებულია: მას შეუძლია საქმის ასე თუ ისე მოწეობათ კიდევაც შეაყვაროს ეს საქმე საზოგადოებას და კიდევაც შეაძელოს; ერთი სიტყვით საღად გამგეობას მართებს დიდი დაგვირგება და თავდარიგი.

არ შეიძლება ბოლოს ერთ გარემოებას არ მივაქციო მკითხველის ყურადღება. გვაკვირებს აქაური მამასახლისის ამ საქმისადმი როგორღაც გულგრილობა. ადამიანის ცოდვილი გული იფიქრებს, რომ ამისთვის მას არ ცსკლავ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს მართალი გამოდგეს, როგორღაც არ შეიქრის ეს იმას, რომელიც, თუ შესაძლებელია არ მლაღატობს, 15 წელიწადზე მეტია მამასახლისობს; ან შეიძლება მე ვცდები, ამას მომავალი დაგვანახებს.

ჩიხუნი.

სალხინო (სენ. მს.). ეს სოფელი თავის მუხობელ სოფლებთან შედარებით როგორც ნიკთიურათ, ისე სწავლა-განათლების მხრივაც წინ არის.

სოფ. სალხინოში, მდ. ჭანჭურას პირით, რომელიც შეიცავს ერთ გაშლილ, სწორ მიდამოს, არის ძველ დროში ხელოვნურათ აგებული სასახლე. აი ეს სასახლე ამ 10—13 წლის წინეთ მუდმივ სარგებლობათ აარჩია თავისი მეუღლით პრინც მიურატითურთ პრინცესა სალომე დავით დადიანის ასულმა. პირველი საქმე, რასაც ყურადღება მიაქციეს ამ ცოლ-ქმარმა, იყო გზები. წინეთ მისვლა-მოსვლა ჩვენ მხარეში მეტათ გაჭირვებული იყო. გზები, როგორც ჩვენ გვესმის ეს სიტყვა, არ არსებობდა, უმარცხოთ იქ გავლა იშვიათი მოკვლენა იყო. ასლა ვი შევით დასასვლელად პირთა შემწობით და დასმარებით შეენიერო მოკვლელი გზები გვაქვს. გარდა ამისა უგანათლებულეს პრინცესას აქ ცხოვრებას ვიდევ სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. პრინცესამ გააშენა ევროპულ გემოზე რამდენიმე დესტინა ვენახი, სულ 30 დესტინამდე; ამ საქმეში დახანდა დიდი ფული და მთელ სოფელს დიდძალი სამუშაო გაუჩინდა. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეშა ხელი რამდენიც უნდა დაჭირდეს, უსათუოთ უნდა იქმნას ადგილობრივ სალხინოდან და ყოველ შემთხვევაში სამუშაოს მიცემაში უზიარატესობა აქვს სალხინოელ გლეხს. სულ რომ მცირე ვინაგარიშოთ, განურჩევლათ სქესისა (ქალებიც მიდიან ქირაზე სამუშაოთ), ამ მამულში თითქმის ყოველ დღე, მიუხედავათ ამინდისა, იქნება მეშა 40—50-მდე (გარდა ქრისტიანობისთვის და ანუარისა). მამაკაცს ეძლევა ქირა დღიურათ 50 კ., თვიურათ რვა ან ათი მანეთი და წლიურათ 80—100 მან., ზოგერთ შემთხვევაში მეტიც. დედაცაცებს ეძლევათ 30—40 კ. მეტი წილი ჰატარა ქალები მეშაობან. ამასთან ისიც არ უნდა დავივიყოთ, რომ უგანათლებულესი პრინცესა სალომე დიდ ყურადღებას აქცევს სასახლის სწავლა-განათლებას, ნიკთიური თუ ხეობრივი დასმარებით, ამიტომ ვინატრით, რომ ასე მსნეთ და სასარგებლოთ ემოქმედოს მას მომავალშიაც.

სალხინოს მასწავლებელი გ. წიგწივაძე.

ახალციხე. ადგილობრივი მღვდლის ს. ჭ—შვილის მეცადინეობით გასულ წლის ნოემბერში სასახლისეში დაიწვეს სასახლო ვითსების მართვა კვირობით. თავიდანვე საქმე კარგათ მიდიოდა. მოთავენი, როგორც მღვდელი, აგრეთვე ადგილობრივი სკოლების მასწავლებლებიც, დიდი ენერგიით ასრულებდნენ ამ კეთილ მოვალეობას. დიდ მარსაში ვი შეახერხეს ვითსები, საღისი ეკვლესიაში დაიარება და მსმენელები არ იქნებანო; შემდეგ ხეუნი მსცოვანი ზოტის რაფიელ ერისთავის სს.ოვნის ჰატევისაგანათ ჩინებუდი საღიტრატურა საღამო გამართეს 15 აპრილს. ამას ეგზამენების დრო მოჰყვა, და რადგანაც მასწავლებლებს დრო აღარ ქონდათ, ვითსების მართვა გადადგეს იენისის შუამდე. ეს დროც მალე მოვიდა, მა-

გრამ ვითსები მაინც არ დაუწყიათ, რადგან მასწავლებლებმა აგრეთვე გასულა დააპირეს.

იმედია მომავალ სექტემბრიდან ეს ჰატევემულნი პირის სავეინაო ვითსების მართვას უფრო მეტის ენერგიით შეუდგებიან და მათი ღვაწლიც უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებს.

სამწუხაროთ, აქაურ საეკვლესიო სკოლის საკლასო ოთახსი, სადაც ვითსები იმართება, ჰატარა და საღისი ვერ მოთავსებულა; საჭიროა ამ დაწესებულებისათვის მოიპოვოს ცალკე ბინა, სადაც აგრეთვე შესაძლებელი იქნება პიესების დადგმა. უმჯობესია იქნება ეს ვითსებიც იმ შენობაში მოთავსდეს, რომელიც აქაურ წიგნთსაცავ-სამეთესველოსათვის უნდა ააშენონ, ამ კეთილ საქმისათვის უკვე ხუთას მანეთამდე ფული შეაგროვეს, მაგრამ, ორი ამოდენა ფული ვიდევ დასჭირდება. და იმედია ჩვენი ჰატევემული საზოგადოება უყურადღებოთ არ დატოვებს და შემწობას აღმოუჩენს. შემოწირულებას აგროვებს ჰატევემული ქ. კონსტანტის შეთვისაშვილისა.

ზაგრაბ ბეთანელი.

რუსეთის ცხოვრება.

== გზ. «იუნ. ობოზ.» გაზეთების გამოადვი ახსნურ-რი ტრედიავოვსკი ამას წინეთ სასამართლოში იქმნა მიცემული. მიხეზი ამისა ის იყო, რომ ტრედიავოვსკი სულში გაზეთებით ქუნა-ქუნა დადიოდა და ვამძსოდა: იყიდეთ, მოთავსებულა ასალი ამბები ჰეტერბურგში მომხდარ მეშების ამბოსების შესახებ. ვარდავომ, რომელმაც ვაიგონა ეს სიტყვები, ტრედიავოვსკი ზოლიცაში წარადგინა, საცა მას ოქმი შეუდგინეს და როგორც დამნაშავე მისცეს სისხლის სამართალში. სასამართლოში ტრედიავოვსკიმ არა სცნო თავი დამნაშავეთ და ვანცხადა, რომ რადგანაც მიხდოდა ბევრი ნომრები გამოეიდნა, ამიტომ ვამხოდა, რომ გაზეთში საყურადღებო ასალი ამბებიაო. მისი ჩვენება დაამტკიცეს მოწმებმაც. სასამართლომ არა სცნო ტრედიავოვსკი დამნაშავეთ და ვათავისუფლეს.

== ხარკოვის საფაბრიკო ინსპექციას ვანსრასხვა აქვს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ამის შესახებ, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებში მოქმევე პირთათვის შემოდებულ იქნას 24 საათის დასვენება ვაირო-უქმე დღეებში.

== იურიევის უნივერსიტეტში შესვლის სურვილი ვანცხადებით 250 კურს დამთავრებულ სემინარისა. როგორც ვან. «Zeitung»-ი იუწება, ყველანი იქნებან მიდებულნი.

== საშინაო საქმეთა მინისტრის ცნობით, შემდეგ გუბერნიებს ეწვია წველს მოუსაველობა: ვიატკის, ვორონეჟის, ვკატერინოსლოვის, ყაზანის, ორენბურგის: პერმის, სამარის, სარატოვის, სიმბირსკის, ტავერიდის, უფის და ხარკოვისას. რადგანაც მოუსაველობა ბევრ გუბერნიებს ეწვია და ადგილობრივი დაწესებულებანი მომზადებულნი არ არიან, ამიტომ მთავრობას საჭიროთ მიიჩნია მიიღოს ვანსაკუთრებული ზომები დაზარალებულთა დასახმარებლოთ. 1900 წლის 12 იენისი. კანონით ხალხის ვამოკვების საქმე მიენდო იმ დაწესებულებათ, რომელნიც გუბერნატორთ ექვემდებარებიან. მინისტრი თხოულობს, რომ გუბერნატორებმა დაუყოვნებლივ თვეში ორჯერ აცნობონ მას რა საშუალება მიუღიათ დამშეულთა ვამოკვებისათვის. მინისტრი იმედოვნებს, რომ გუბერნატორები სრულიად ნამდვილ ცნობებს მოიწერებიან ხალხის ვაჭროვებისა და ვამოკვების შესახებ. გუბერნატორები უნდა ერიდონ, რომ



გაქორეება არ გააზვიადონ და არც დაფარონ ხალხის ნამდვილი მდგომარეობა.

ს ა ს ლ ე ა რ ე ა რ ე თ .

საზრახველი. სასკლამოთა ერთმანეთში გამბედავად-მომხელ-საქმეებს ვიდრე მიემატა ერთი საკამათო და გადასწავლი კონფლიქტი. ეს მეორე კვირას, რაც ოსმალეთსა და საფრანგეთ-შორის დიპლომატიური ვაჭარის შესწავლა. საფრანგეთის უფრო გონივრული წავიდა სტამბოლიდან პარიჟში და მით აკრძალა ოსმალეთს, რომ საქმე შეიძლება იმისთანა მიმართულებას მიიღოს, რომელსაც სულთანმა არ მოელოს. მიზეზი ამ წერილისა და თითქმის მუქარისა საფრანგეთის მხრივ ის არის, რომ ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა თვის კრედიტორებს შეამცირონ გადასახადი კელი 171 ათას ოსმალურ გირვანქამდე და ამასთანვე ხელი აიღონ 1882 წლის ხვედრად ფულის სარგებელზე, სოლო კრედიტორები კი თხოვლობენ ოსმალეთის მთავრობიდან 700 ათას გირვანქას. აი ეს არის მიზეზი საფრანგეთისა და ოსმალეთის შუა დიპლომატიური განსუთქილებისა. ჯერ-ჯერობით ეს ორი სასკლამო კერ მორბეულა. საფრანგეთს, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს მტკიცეთ დაიცვას და შეასრულებინოს ოსმალეთს თავისი მოთხოვნებიანი, ხოლო ოსმალეთის მთავრობა ჯერ-ჯერობით გაითვას მისკვეულ-მოსკვეული ვასუსებით ავრქელებს.

სპარსეთი. სპარსეთის სატასტო ქალაქ თერანში ამ უმათ დიდი რევოლუციონერი მოძრაობაა. საიდუმლო გრუბებმა, მუქარის წერილებმა, პროკლამაციებმა და ხალხის პირდაპირმა უმადოებამ მოლოცა მთლათ ფეხზე დააყენა, მაგრამ იგი მანც ვერას გასდა. პროკლამაციებს თვით შანის სტოლ-ზედაც კი პოელობენ, უხილავი ხელისაგან მიტანილს. ავითციის სელ-მდგანელნი არიან ტასტის მახლობელნი განათლებული სპარსელები; სხვათა-შორის ისინი პროკლამაციებით აუწყებენ ხალხს, რომ «სასკლამოთა საქმეების, სასამართლოების და სხვა ათას-გვარ რეფორმებზე ლაპარაკით მთავრობა მხოლოდ თვალს უხევენ ხალხს, უნდა, რომ ხალხის ურჩადლება ამ სმებმა მიიზიდონ, ხოლო ამ დროს კი იგი ჩუმათ ახარციელებს ხალხის დამღუპვე ზომებს. მთავრობა ჰყიდის ჩვენ სამშობლოს ფულზე. ვინ არ იცის რომ, ფული, რომელიც მთავრობამ ისესხა რუსეთიდან, საზინაში გადადის მხოლოდ მის შემდეგ, როცა მინისტრთა ჯიბეებს გაივლის ხოლმე. ირანის თავისუფლება უკლებზე უმჯობესესია ჩვენი ხალხისთვის და მის დასაცველათ ხალხიც ერთი სულით და ერთი ძალით გამოვა ბრძოლის კვლევად».

შანმა გამოსცა ფირმანი, რომლითაც უბრძანებს პოლიციას უმტკუელათ იზოგონ რევოლუციონერთა წინამძღოლნი. მთავრობამ დანიშნა 10,000 მანეთი ჯილდო მისთვის, ვინც გასცემს მოთაუებს. თერანის ქუჩები საკაცა ჯამუშებით. იჭერენ უკლებს, ვინცედაც კი მცირე კვებს მიიტანენ. ვინც გამოხინდება ქუჩაზე, იმედი აღარ აქვს, რომ დაბრუნდება სასლში ცოცხალი და უვნებელი.

ბერძანია. როგორც იყო დიდი ღოდინის შემდეგ ჩინეთის გამოსახსნელათ გერმანიის იმპერატორთან გაგზავნილი პრინცი ცუნი, ჩინეთის იმპერატორის ძმა, ბოდიშის მოსახდელათ გამოეცხადა გერმანიის იმპერატორს, რომელსაც გადაცა საბოდიშო ბარათი, ყვეთელი აბრეშუმის მატრონიკე დაწერილი. აი რა ვასუხი მისცა პრინცს ამ ბოდიშზე იმპერატორმა:

